Electricity System Commercial Operator JSC
Digitally signed by Electricity System Commercial Operator JSC
DN: cn=Electricity System Commercial Operator JSC, 2.5.4.97=NTRGE-205170036, o=Electricity System Commercial Operator JSC, c=GE
Date: 2019.05.10 10:40:57 +04'00'

19/05/10-01

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 10 მაისი, 2019 წელი

ერთის მხრივ **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა დვალიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „ლოჯიქალ სისტემზ კომპანი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა იტრიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.

1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს 1 (ერთი) ცალი **13.56 მეგაჰერცი სიხშირის მქონე საშვი (საშვები-CPV 22457000).**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს **7.00 (შვიდი) ლარს** დღგ-ს გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე 5.93 ლარი).

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა შესყიდვის ობიექტის ხარისხის ერთი წლის გარანტიას. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიწოდებულ საქონელზე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს წუნდებული საქონელი იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით და მიაწოდოს შემსყიდველს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 10 მაისიდან 2019 წლის 17 მაისის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების შესაბამისი აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე,

საანგარიშსწორებო/საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.4.1. უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით შეცვალოს იგი იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით.

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.6 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 10 მაისიდან 2019 წლის 17 ივნისის ჩათვლით, ხოლო ფინანსური ვალდებულებებისა და საგარანტიო მომსახურების შესრულების ნაწილში - მათ სრულად შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	შპს „ლოჯიქალ სისტემზ კომპანი“
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2 ტელ. 240-14-20 სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	ქ. თბილისი, გლდანის მე-4 მკრ/რ-ნი, კორპ. №106 ბ.3. ტელ: 255 44 88 / სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE53BG 0000 0001 8857 2900 საიდენტიფიკაციო კოდი: 200242816
გენერალური დირექტორის მოვალეობ შემსრულებელი ზაზა დვალიშვილი	დირექტორი ზაზა იტრიაშვილი